


წელიწადი
პირველი



3 მარტს
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოლის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასაფლაოს წყმოდ. №11 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაზეთით და გაზეთით და... 6 მან. — თითო ნომერი..... — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუჯდათ გამოცხადებულ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	--

საძიებელი: I. წინასიტყვაობა. — II. საქართველოს მატეანე: ტფილისის გუბერნიის ეკონომიური დონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს. — III. ცხოვრება და კანონი: წერილი ზირველი — IV. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის. — V. ქალაქის სცენები, სცენა — I. VI. „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რასაკვირველია. — VII. წერილი ამბები. — VIII. განცხადება. —

წინასიტყვაობა

ქურნალ-გაზეთობაში შემოღებულია ერთი ახირე-ბული ჩვეულება. გამოვა ახალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქცია უცილო ვალად ჰრაცხს ზირველ ნომერშივე საზოგადოებას აუხსნას თვისი დედა-აზრი, თვისი მიმართულება, აღნუხსოს ეოველი ის, რითაც უზირობს გაზეთს სულის ჩადგ მას და ხორცის შესხმასა. ამ ჩვეულების ძალმომრეობით გაზდილი საზოგადოებაც დაინახავს ახალს გაზეთს თუ არა, გუღდაჯერებულა რომ ზირველს ნომერშივე იზოვის რედაქციის აღსარებას მასზედ თუ რა აზრი და დანიშნულება აქვს ამ ახალ გაზეთსა; რის შემოტანა ჰსურს მწიგნობრობაში, თუ ცხოვრებაში; რა გზას, რა კვალს დადგება საზოგადო ცხოვრებისაგან მოვლინებულთ საგანთა გამოძიებაში; რა თვალთ განიხილაძს ეოველს მას, რაც ჩვენი თუ სხვის ცხოვრება თვისს დაუდრომელს მიმდინარეობაში აღმოაჩენს; რას და როგორ ემსახურება და ბოლოს რას გუზირდება და რას გუქადისო.

ამ ჩვეულებას თვისი მართებული და ჰატეუ-სადები საბუთი აქვს. საზოგადოებამ, რა საკვირველია, უნდა

იცოდეს რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს, რისა და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვოს თავისი უურად-ღება. მაგრამ ეოველს მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, ზასუხის მიცე-მა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ევ არ იყოს, ცოტა უხერხოთაც მიგვანია. ამ შემთხვევაში ზასუხად ხომ ცარიელი ლიტონი სიტყვა უნდა იყოს, — და ცარიელი სიტყვა რა თამასუქია ნამეტნავად ამისთანა ეჭვით სავსე დროში. ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზედ — ესე ეველა იმისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება კაცსა. ორში ერთი: კარგს იტყვის კაცი, — თავისთავზედ თქმა იქნება და თუნდ მართალიც იყოს, ტრახახობაში ჩამოართმევს, ცუდს იტყვის კიდევ — სულელობა გამოვა, ჰეინესი არ იყოს.

არც ერთი ეს თვისება ისე მიმზიდველი არ არის რომ კაცმა თავი იტკინოს და იმ შემოხსენებულს ჩვეულებას თავიდაც ბოლომდე მიეცეს. გაზეთის საქმე დროთა მიმდინარობისაა. დროს დავაცალათ მის თქმა, რის მოლოდინიცა აქვს მკითხველს რედაქციისაგან.

ჩვენ დღეს მარტო ზოგიერთს ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ მასზედ თუ გაზეთ-ქურნალობა რა დონეა, რა ძალა, რა ფარ-ხმალია ადამიანისათვის ცაღკე და საზოგადოებისათვის საერთოდ, რის უფლებას აძლევს მას, ვინც მაგის ახარესზედ გამოვა და რა მოვალეობასა სდებს კისრად.

ქურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მრთელს მწიგნობრობას, როგორც ეოველს გონებითსა ძალას ადამიანისას და

მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად აღაძვინის ცხოვრება აქვს. ცხოვრება დაუდგრომელს დუდილშია, ფეხშეუფერხებელს მოძრაობაშია. იგი თვის დუდილში, თვის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმესა და საგანს წამოგვიყენებს ხოლმე თვალწინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა უნდა, ახსნა და თავისი ადგილის მიზომვა. აღაძვინის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დაჰსტრიალებდეს ცხოვრებას, ორგვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. ზირველი, როგორც მასალას, რომლიდანაც მეცნიერებითსა ძალას აღაძვინისას გამოჰყავს დედა-აზრი (ზრინციზი) და ამ დედა-აზრზედ ამეარებს მეცნიერობის შენობასა, საიდანაც ეს დედა-აზრი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით, ის ჰაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქამთ, ვცხოვრობთ და ვაი ვვავლახობთ, ჩვენ და თქვენ, მკითხველო. რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ დღე მუდამის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრების აუკარგიანობა, ვითარება გადინატოს, გადისახოს? მწიგნობრობა ერთობ და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ.

ამ სახით ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკვით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა და ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში ჰსჩანს და ისახება ეოველ-დღიურის აზრის მიდენ-მოდენა.

როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამძვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა ინატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვა და სხვა საგანთა

თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენად იგი საწვაოა საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იჭეროს და ცხოვრების თვით რჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უძორჩილებს.

ამ ორგვარს დანიშნულებას ჟურნალ-გაზეთობისას ერთი და იგივე ფერი არ ადევს სხვა და სხვა საზოგადოებაში და ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვა და სხვა ისტორიულს დროს. არის დრო და საზოგადოება სადაც ჟურნალ-გაზეთობა განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტომას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკვა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვით-მოქმედობითი ძალი და ხალისი თვით-ცნობისა. არის დრო და საზოგადოება, სადაც ჟურნალ-გაზეთობა საზოგადოების გამჭრიახობის, ზნეობითის მხნეობის და თაოსნობის გამოქვეყნელია, ასწარესია სხვა და სხვა ცხოვრების კავშირთა და ძალთა ბრძოლისა. არის დრო და საზოგადოება, სადაც ჟურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმასავით ხელი-ხელს გაურილნი მიდიან, ჟურნალ-გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს და ცხოვრება კიდე მწიგნობრობის მოედანსა თავისის უკეთესის ევაზილითა ჰფენს. არის კიდევ დრო და საზოგადოება, მეტევი, მკითხველო, სადაც ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთის ღანძლვა და თრევაა. ეგეც არის, ჩვენდა საუბედუროდ, მაგრამ რა ვუყოთ, სადაც წვრილია, იქა წედება ხოლმე. ეს ვეება ტანი აღაძვინის ცხოვრებისა ისე როგორ გადაჩება, რომ დროთა ბრუნვამ სადმე მუწუკი და იარა არ აუჩინოს.

ეს სხვა და სხვა ფერობა ჟურნალ-გაზეთობისა დამოკიდებულია სხვა და სხვა გარემოებაზედ. იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების თვით-მოქმედობის ძალა მილეულია, სადაც გონებითი და ზნეობითი ნიჭი დამინებულია, იქ, რა საკვირველია, მწიგნობრობა ერთობა და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ მხელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამოთქმელი. აქ უზირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან უნდა ფენი აუდგას თვით-მოქმედობის ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი. იმ ქვეყანაში კი, სადაც თვით-მოქმედობის ძალი

საზოგადოების აღორძინებულა, საცა გონებითი და სწეობითი ნიჭი აწარმოებს ცხოვრებასა და მის გამოცხოვრება დულს და ჰსჩქებს — იქ ქურნალ-გაზეთობა აზრის აღებ-მიცემობაა, იქ იმის ამომძახელია, რასაც ჩაჰსძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა.

ხოლო ამას კი დავუმატებთ, ანუ უკედ ვჰსთქვათ, განვიძეორებთ, რომ ცხოვრება რაც უნდა უძლური, მიძევდარი და უღონო იყოს იმოდენად ღირსშესანიშნავი რამ არის, რომ ქურნალ-გაზეთობას არ შეუძლიან თვის ერთგვარს დანიშნულებას აჰქვეს და ცხოვრებას თვალი და ყური არ ათხოვოს. როგორც უნდა იყვეს ცხოვრება ძლიერი, თუ უძლური, მაღალია თუ დაბალი ქურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დააკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს. იმიტომ, რომ ადამიანები განა მარტო მათეუბებულნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი ზირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ ზირთა ქმნილება, ამ ზირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავ-კარგიანობა, თვისება. ამისათვის ეოველ საგანს, ეოველს მოვეუნას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს ქურნალ-გაზეთმა უნდა მიაქციოს ჯგროვანი უურადლება და შეძლებისა მებრ მიჰსცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის და კვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეყედ ექმნება ლაჰარაკი, თუ უძირეს საგანსე — ეოველ-გან და ეოველსეგრძე ქურნალ-გაზეთმა უადრესი და უაბრეველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თვითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უეურებს საგანსა.

სემოხსენებული აზრები რომ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს მწიგნობრობას მიუძღრთოთ, ადვილად გამოსაცნობია. რა გზა უნდა ამოიჩიოს ჩვენში ქურნალმა, თუ გაზეთმა.

სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გაურცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, — აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის ზროგ რამმა.

დრომ გამოაჩინოს რამოდენად შევძლებთ იმ საქმეს, რომლის კისრად აღება ჩვენ დღეს ვაბედეთ.

რადგანაც ქურნალ-გაზეთი ადამიანის ეოფა-ცხოვრებაში უნდა მოქმედობდეს და იმ ეოფაცხოვრების საკეთილოდ იღწოდეს, ამის გამო ადამიანი

ცალკე როგორც კერძო ზირი და ერთად როგორც საზოგადოება ხელ შეუხებლად ვერ გადურჩება გაზეთსა. იმ გაზეთს, თუ ქურნალს, რომელსაც აქვს თვისის ღირსების ცნობა, თვისი ჰატივისცემა, და თვისი კეთილმობილური თავმოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე ჰატივის ცემით უნდა მოექცეს ეოველს კერძო ზირს და ეოველს საზოგადოებას. ეგ ჰატივის ცემა კერძო ზირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ეოველს რივიანს თუ მართებულს ქურნალს თუ გაზეთსა. ხოლო ჰატივის-ცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს ზირ-მობთეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის ჰატივის-ცემა კი არა, ეგ შეურაცხ-ეოფა იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სწეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჰემძარიტი ჰატივის-ცემა ის არის, რომ ზირში, გულანდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას რომ არ შეუგინოს, არა შეურაცხ-ჰეოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და ჰატივი, არ დაურღვიოს ის მვირფასი და უკეთესი სწეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად ჰსცნობს და აღიარებს.

სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან ჰატივის-ცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რის მეოხეთ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ თუ არ ადამიანს უფლების შემნატრეთ, მწეუ და მოსარჩლეუ? სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველსეგ წინ წამომდგარი, თუ არ ამ სწეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის ჰატივის-ცემა გვძარბებსო?

მხელია ეს ეოველისეგრი, ჩვენო მკითხველო, მაგრამ მაგ სიმხელეშია ის საწეაოც, რომლითაც უნდა აიწეოს გაზეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა მიუწეო მისთა მოღვაწეთა შენი გულითადი თანაგრძნობა, შენი ჰირუთხელი ჰატივის-ცემა და შენი უანგარო სიევარული.

საპართველოს მატინანი

ტვილისის გუბერნიის ეკონომიური დონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს. ჩვენ აქამომდე ჩვენის ქვეყნის სტატისტიკისა, თუ ეკონომიურის ვითარებისა ბევრი არა ვიცით რა. თუ ამ საგნებზედ ხსენებულა

რამ იხილ რუსულად ნაწერებში კანტი-კუნტად თუ სადმე მოიხილება, თვარემ ქართულს ენაზედ ჩვენ ამის შესახებ არა გვანსოვს რა. ამის გამო, ჩვენ ვუიქ-რობთ, რომ არ იქნება მეტი ამ საგნებზედ წარმოუდგინოთ მკითხველს ზოგიერთი ცნობა და ამასთანავე განვუხიაროთ მას ის ფიქრი და დასკვნა, რაიც, ჩვენის აზრით, მავ ცნობებს შეუდგება. ცნობანი, რომელთაც ეს წერილი ქვემოდ მოგახსენებთ ამოკრეფილია ტფილისის გუბერნიის დებულების ოქმებიდან. ამიტომაც ეს ცნობანი უფრო დასაჯერია, რადგანაც დებულების ოქმები ჯერ არის განხილული მებატონისა და გლეხის მხრითა, რომელთა მწვავე ინტერესს მავ ოქმების სიმართლე შეადგენს და მერე ადგილობრივ გამოკვლეულია, შეთანხმდნობულია და შემოწმებული მთავრობის კაცისაგან. ამის გამო თუ რაიმე სიგელი ქვეყანაზე დასაჯერია, იმათი დებულების ოქმები უკანასკნელი არ უნდა იყვნენ. ამას კი მოვიხსენიებთ, რომ ჩვენ მხედველობაში გვექონდა მარტო 14230 კომლის ოქმი. მთლად კი ნაქმევი თბილისის გუბერნიაში 17,360 კომლია.*)

ამ ოქმებიდან ხსანს, რომ დროებით ვაღდებული გლეხი, რომელთაც მიწა და ბინა მიჰსცემიათ ტფილისის გუბერნიაში ეოფილა:

- 1) კამერალიის აღწერითა:
 - ა) კომლი — — 14,119.
 - ბ) სულ — — 57,077.
 - 2) დებულების ოქმებით:
 - ა) კომლი — — 14, 230
 - ბ) სულ — — 57,632
- ამათ მისცემიათ სახმარად:
- 1) ვენახები — — 9,484 დღიური და 874 ოთხ-კუთ.საქ.
 - 2) სახნავი და სათიბი — 135,814 — და 237 — ამათ შორის:
 - ა) სარწყავი, ანუ სარწყავად ჩათვლილი 85,300 — და — 353
 - ბ) ურწყავი — — — — — 50,513 — და 1084 -
- რიცხვთა შუა ანგარიშით ვენახები მოდის:
- 1) კომლზედ: — 800 ოთხ.საქ.ანუ $\frac{2}{3}$ დღიურისა
 - 2) სულზედ: — 198 — — ანუ $\frac{1}{6}$ დღიურზე.ცოტა ნაკ.
- იმავ ანგარიშით მიწები მოდის:
- 1) კომლზედ: (სარწყავი — ნდღიურზედ ცოტა ნაკლებ. ურწყავი — 3 $\frac{1}{2}$ დღიურზედ ცოტა მეტი
 - 2) სულზედ: (სარწყავი — 1 $\frac{1}{2}$ დღიურზედ ცოტა ნაკ. ურწყავი — 1 დღიურზედ ცოტა ნაკლ.

*) ინახული: Поземельная регистрации временно-обязанных крестьянъ Тифлисской губернии (по уставнымъ грамотамъ) 1873-1874 г.

ენლა ამ რიცხვთა სქემას რაც შეუდგება რომ წინ გავიძლოთ, შეგვიძლიან, ვარაუდობით მაინცა თუ არ გუღ დაჯერებით, აღვსნათ ტფილისის გუბერნიის მთელის გლეხობის ვითარებაცა.

ვიდრე ამ აღსნას შეუდგებით საჭიროდ ვრაცხთ მოვიხსენიოთ, რომ ნაქმევთა გარეთად ჩვენის გუბერნიის გლეხობას შეადგენენ საეკლესიო (რომელნიც ენლა სახსოდ არის შერიცხული) და სახსო გლეხნი, რომელთაც როგორც ვენახები, ისე სახნავ-სათიბი მიწები უფრო უნვადა და ბლომადა აქვსთ. ამას დამტკიცება არ უნდა. ეს ეველამ იცის, ვისაც კი ამ მხრით თვალ-უური უდევნებია ჩვენის ქვეყნისათვისა. მაშასადამე ნაქმევთა წილად ხდომილობის ზომასზედ რომ წავიდეთ და იმ ზომით აღვსნათ საეკლესიო და სახსო გლეხთა მიწათ-ქონებლობის რაოდენობა — ეგ რაოდენობა ნაკლები იქნება და არა მეტი მასზედ, რაც ნამდვილად უნდა იყოს. მავ გვარად გამოკვლეულს რაოდენობას ის ღირსება მაინც ექმნება, რომ კაცი გუღდაჯერებით იტყვის: „ეს უკანასკნელია; ამასზედ თუ არ მეტი ნაკლები აღარ შეიძლება იყოს“, ესეც ერთის ფენით წინ წადგმაა მისთვის, ვისაც ჩვენის ქვეყნის ვითარების გაგება უნდა. ჯერ ეს ვიმყოფინოთ, ვიდრე ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა მოსახლეთა თაობაზედ უფრო ნამდვილის ცნობის შეკრება შესაძლო გვექნება.

ტფილისის გუბერნიაში სულ ითვლება სული — 652,833. წინად — ხსენებულის რიცხვთა — შუა ანგარიშით სულზედ რომ 198 ოთხ-კუთხიანი საქენი ვენახი ჩავთვალთ, 11/2 დღიური სარწყავი მიწა და 1 დღიური ურწყავი, გამოვა რომ მთელს გუბერნიაში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, გლეხობას უჭირავს:

- 1) ვენახები — — 108,550 დღიური და 914 ოთხ.საქ.
- 2) სახნავ (სარწყ. — 972,249 $\frac{1}{2}$ დღ.) სათიბი (ურწყ. — 652,833 —) 1,625,082 $\frac{1}{2}$ დღ.

მცოდნე ზირნი გუღდაჯერებით ამბობენ, რომ დღიურს ვენახზედ რიგიანს მოსავალში სამი საწალნე (ოთხასი თუნგი) ღვინო უნდა გამოვიდესო. ჩვენ რომ ერთი საწალნე (133 $\frac{1}{3}$ თუნგი) მაინც ვიანგარიშოთ, გამოვა რომ ტფილისის გუბერნიის გლეხობას წელიწადში მოსდის ღვინო:

საწალნე — — — 108,500.

ბევრგან მიღებულია რომ წელიწადში სექტუვისგან ხდება 1/10 ადგილი. ჩვენ რომ ამასზედ მეტი სექტუვის სხვერწლად გადავდოთ, ესე იგი, 1/8 მთელი გუბერნიისა და ამის წინახედი 1/8 ღვინის მოსავლიდან გამოვიდეთ. ძირს დარჩება 94, 937 საწალნე და ცოტა მეტი.

სახსრავი მიწები რომ ნახევარი ჩვეულებისამებრ იხვნებოდეს და ნახევარი იხვენებდეს გამოვა, რომ ეოველწლივ ჭირნახულს ქვეშა იქნება:

- 1) საწრწავი _ 486,124 *
- 2) ურწრწავი _ 326,416.

მცოდნე ზირთავან გავონილი გვაქვს, რომ რაც მიწებია მოქმედებაში, იმათგანი 1/2 ჰური მოსავლისაა, 1/4 სიმინდისა, 1/6 ქერისა და 1/12 ფეტვისა. ამ ამგარიშით გამოვა რომ:

- 1) საწრწავი მიწებზედ მოდის:
 - ა) ჰური --- 243,062 დლიურზედ.
 - ბ) სიმინდი --- 121, 531 -
 - გ) ქერი --- 81,020 -
 - დ) ფეტვი --- 40,510 -
- 2) ურწრწავი მიწებზედ მოდის:
 - ა) ჰური --- 163,208 -
 - ბ) სიმინდი --- 81,604 -
 - გ) ქერი --- 54, 402 -
 - დ) ფეტვი --- 27, 201 -

დლიურმა საწრწავი-მიწამა რომ 12 სამ-ფუთიანი კოდი ჰური ააუენოს**), სიმინდი - 16 კოდი, ქერი - 16 და ფეტვი - 16 კოდი, გამოვა წლის მოსავალი:

- ა) ჰური --- 2, 916,744 კოდი
- ბ) სიმინდი --- 1, 944, 496 -
- გ) ქერი --- 1, 296, 320 -
- დ) ფეტვი --- 648, 160 -

სულ ერთად იქნება: - 6,805,710 კოდი.

დლიურმა ურწრწავამა რომ 6 კოდი ჰური ააუენოს და რვა-რვა კოდი სხვა ზემონსენებული სულადი, წლის მოსავალი გამოვა:

- ა) ჰური --- 979,249 კოდი.
- ბ) სიმინდი --- 652,833 -
- გ) ქერი --- 435, 222 -
- დ) ფეტვი --- 217, 611 -

სულ ერთად: --- 2, 284, 915 კოდი.

სულ ტფილისის გუბერნიის გლეხობის სულადის მოსავალი საწრწავისა და ურწრწავისა ერთად ამ ანგარიშით შეადგენს 9, 090, 625 კოდს.

ერთი მერვედი დათესილის მიწებისა რომ ეოველ-

*) ამას ქვევით ეველგან წილადებს (დრობი) ანგარიშში აღარ მოვითხანთ, იმიტომ რომ რიცხვს ტყუილ-უბრალოდ ააჭრელებს და თითქმის არა ვითარს მეტ-ნაკლებობას კი არ შეადგენს.

**) ჩვენ ქვევით დლიურზედ თესლი 3 კოდი ვიანგარიშეთ ამის კვალობაზედ ჰურის მოსავლის ერთს ოთხად ვაგდებთ და სხვა სულადისას ერთს სუთად და ერთ შესამედად. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეგ მოჭარბებულიად ნაანგარიშებულიაო.

წლივ იხეტკვებოდეს, ანუ მთელი გუბერნია რვა წელიწადში ერთხელ და ამისგამო 1/8 წანახედი ეოველის წლის მოსავლიდამ გამოვიდეთ, ძირს დარჩება 7, 954, 297 კოდი.

საქონელი ამ დანარჩენიდან რომ დლიურზედ სამი კოდი თესლისათვის გადავსდვათ, სარხდობისათვის, ხალს მთელს გუბერნიაში დარჩება 5, 517,677 კოდი.

სულადისა და ღვინის მოსავალი რომ ტფილისის გუბერნიის სულთა რიცხვზედ გავანაწილოთ, გამოვა რომ წელიწადში თვითო სულს ხვდება:

- ა) სულადი - რვა კოდი და ორს ფუთზედ ცოტა მეტი
- ბ) ღვინო - ოცდაორს თუნგზედ ცოტა ნაკლებ.

1877 წ. რუსულს კავკასიის კალენდარში მოხსენებულა, რომ მთელის გუბერნიის მოსავალს, (მაშასადამე არამც თუ მარტო გლეხობისას, არამედ თავად-აზნაურობისასაც) შეადგენსო:

- 1) ღვინო 2,297,800 ვედრას.
- 2) სულადი, სათესლეს რომ გამოვიდეთ, - 1, 574,846. ჩეტვერტსა.

მაშასადამე კალენდარის ანგარიშით სულზედ წელიწადში მოდის:

- 1) ღვინო - ათ თუნგ-ნახევარი.
- 2) სულადი (ჰური, სიმინდი, ქერი და ფეტვი) სამი კოდი და ერთი ფუთი.

ამას რომ დაუჯეროთ, გამოვა რომ ჩვენის გუბერნიის ხალსი თუ წუწრვილით არა, შიმშილით მაინც აქამდინ უნდა ამოწვევტილიყო, ან არა და ღვინოცა და ჰურიც სხვიდან უნდა ეხიღნა ეოველ წლივ. ეს დაუჯერებელია, იმიტომ - რომ სხვიდამ მოტანილს სასეიდელი უნდა და ჩვენს გუბერნიას თუ ღვინო და ჰური სხვიდამ უნდა ზიდოს, სხვა რა აქვს, რომ ის გაეიდოს და მის ფასით ჰურისა და ღვინის აუცილებელი საჭიროება მოიკლას.

ცხოვრება და კანონი

წერილი ჰირველი

ბუნებამ რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთული ჰავა მიჰსცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდობისათვის, მაინც და მაინც ხალსთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა ჰსდომება. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰავრისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შემდეგა ეოველ-

გვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთ-შორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისა-თვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ. მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულ-დასურული, დარბი ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თვითო ლუკმა ჰურს, რომელსაც აწვდის თვის ჯალაბს სასრდოებისათვის. იგი თავ-გადადებით, თავ-გამომეტებით დღე და ღამ ებრძვის ბუნებას და ეოველი ესრეთ მოწაბული ლუკმა ჰური ძლევა-მოხილობაა მისის მხნეობისა, შრომის-მოკვარეობისა. თუმცა ესრედ აღამებს იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სხანსე-ლი, რომლისათვისაც ბედს შემოუფარვლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და სასრდოებისათვის. ერთი არის თავმომწონე გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულ-და-გული კაცი, მეორე არის გულ-ხათუთქვილი, ილაჯ-გაწვევტილი, ფრთხალი და გა-თელილი. ერთი იმედით აღსავსე სულ წინ იეურება და ეოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევა-მოხილობაა სვალისათვის, მეორე სასო-წარკვეთილია, შიშით სულ უკან იეურება და გუშინდელს მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა ჰსწამს სვალე. ერთი სულით თუ ხორციით ეოველ-დღე წარმატებაშია, თუმცა დარბი ბუნება ახვევია, მეორე სულითაც და ხორციითაც და-ლევაშია, თუმცა მისგარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის ამის მიზეზი? ის არის რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწუბაო“, უბედურს სხანსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა, — ჩემი მოვალეობაა; რაც ჩემია, — ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან ზირ-ველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთ-შორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონთ-მდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვს მათ ვინც ამბობენ, რომ მოქმედთა კანონთა უვარვისობა, თუ სიკეთე თვითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი დაბოლო კანონებისა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შეუდგებით. ჩვენ მარტო ის გვინდობა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იეოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი, კაცთა უფლება და მოვალეობა მნელად გასანჩევია და არ არის საეოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, აქ ხალხის წარმატება და კეთილ-დღეობა, თუ ეოველ-დღე უკან არ იწევს, შეფერხებული

სომ არის და არის. ამისა მაგალითი თვით ჩვენი ქვე-ყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისთვის? ეოველისფერი უხვადა გვაქვს, მხო-ლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება. მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდან, ჩვენში ბევრ-გვარი ცვლილება მოხდა, რომელთა აზრათ ჰქონდათ და აქვთ სასოგადო ურთი-ერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ეოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის სინარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება. ხოლო გამართლდა ჩვენი სინარული და აღტაცება თუ არა? ჩვენ ვეცდებით, ამის ზასუხი მივცეთ მკითხველსა.

1864 წ. მოხდა ჩვენში ემების განთავისუფლება. მოიხზო ჩვენში ერთისაგან მეორის აღამიანობის გაქელების მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარე ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ეოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწედა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის მეურაცხ-ეოფა იეო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარბაო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ-შო-რის აღვილი აღარა ჰქონდა. მაშასადამე აქ საჭირო არ იეო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბა-ტონ-ემობის საქმეში არის მეორე მხარე, რომელსაც ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ესლა თავისუფალი ხარ, რომ შიშშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის აღრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღი-არეს და გლეხს სახმარისად დაუტყვეს, მაშასადამე აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და საბატონარის შორის. აი ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავ-დაზირველი სინარული არ გა-ამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვექონდა. რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწედა, დიდი ღანჯარაკი და ეაენი იეო მასზედ თუ როგორ უნდა გააშველონ ბატონი უმასა, ემა ბატონსა. მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის სასოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმასე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა ჰსჯობიაო ესლა-ვე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურა-ვისა და დავიდარების მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეზატრო-ნეთ არ იცნეს, რასაკვირველია ეს აზრი ფრიად

მოსაწონი და სამჯობინარი იყო ეველასათვისა. ამ გვარად გაძველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ. რასაკვირველია, ჰირველი გზა უძვრობის იყო, თუ არჩევანზე მივარდნილ იყო საქმე. მაგრამ არამც და არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა სასოგადოებამ, არამედ მავ გზების დედა-აზრიც სრულად უარ ჰყო.

ჩვენის სასოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უძრავლესმა, განდევნა სრულად ჰირველთა დედა-აზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხისა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილ იყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისა. მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვა და სხვა კანონები სადავიდარაბო და ორივე მხრისათვის თავში საცემი. რომ მებატონესთან გლეხი ჰირნათლად გამოსულიყო, რასაკვირველია მებატონის კაცი უნდა დასწრობოდა ნამუშევარის შინ შემოტანის დროს, რომ მეოთხედი მიეთვალა თუ აეწყო. დაიღვა ეს კანონიცა. ეველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოდის მთელ საქართველოში თუ არა, ერთ და იმავე სოფელში მანც. ანა ესლა იფიქრეთ, რა უნდა ექმნა ამ შემთხვევაში იმ მებატონეს, რომელსაც ათი და ოცი კომლი ნამუშევრი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწვდენოდა ათსა და ოცს კომლსა? სადა ჰყვანდა ათი და ოცი კაცი მავ მეოთხედების უკან სადევნებულად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა — ეჭვში უნდა ჩავარდნილიყო, გლეხი მომხარამსო და გაგზავნიდა — კიდევ იმ მეოთხედიამ კაცების დაჭერის ხარჯს კაცი წილი მიჰქონდა. იყო ორ ჭირშუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილ სინიდიანიობას უნდა დამეარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფათა, რადგანაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ვინ იცის როდის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხდინოსო; არ მოუცდიდა კიდევ შიში ჰკლავდა, მეტს წამომედავებიანო.

ამეოფაშიანერთსრავამორჩომაექმნებოდათავისის მამულიდამ, ან მეორეს თავის ნამუშევარიდამა. ამ მდგომარობაში ან ერთის გაკეთება რა საფიქრებელია, ან მეორისა. აქ ბევრსაც რომ ცდილიყვნენ ვერც მებატონე და ვერც გლეხი ვერ შესძლებდნენ საქმე ისე მოემართათ, რომ ურთიერთის უფლება და მოვალეობა არ დაეკრავათ. ჩვენ ამისი მოწამეც ვუოფილვართ რომ გლეხს გარედ დაღობოდეს ნამუშევარი ბატონის

კაცის ლოდინშია. ხანდისხან ჯაბრი ამაზედ უარესს საქმესაც მოახდენდა ხოლმე. ამისი მაგალითები ორივეს მხრით ბევრია. ესე იყო თუ არა, მანც და მანც მავ განუსაზღვრელს მეოთხედობის გამო ბატონსაც და გლეხსაც საქმე იმაზედ შეუდგათ, რომ ნებით თუ უნებლიედ ურთიერთის კეთილ-სინიდიანიობაზედ უნდა დამეარებულიყვნენ. ვინ არ იცის კიდევ, რომ კეთილ-სინიდიანიობა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდნი ზედ გადააბოტებენ და ისე გადადიან ზატარები კი ქვეშ გაუძვრებიან ხოლმე. რადგანაც ამგვარს ვარჯიშობას არც დიდნი თაკილობდნენ და არც ზატარები, ამიტომაც ატედა ბატონისა და გლეხისშორის აუარებელი სახივარი და დავიდარაბა. ჰირველ ხანებში ამ სახივრებს ვერ აზდიოდნენ მოსამართლენი.

ამ მეოთხედობას ამას გარდა სხვა აუცილებელი კანონიც დაერთო სამფოთო და სადავიდარაბო, რაკი მეოთხედი უნდა ეძლია გლეხს, ისიც უნდა დაეწესათ თუ რამოდენა უნდა ეხნა გლეხს ეოველ-წლივ, უამისოდ გლეხს რომ ათის დღის მიწა სჭერებოდა და მარტო ერთისა ეხნა, მებატონეს თავისის საკუთრებიდამ ბევრი არა შემოუვიდოდა რა. ამისათვის გლეხს კანონმა კისრად დასდვა, რომ უსათუფოდ რეგებულის მიწების ნახევარი ეოველ წლივ მოხსული უნდა გქონდესო. ამ კანონმაც მრავალი შოთი ჩამოავდო ორთა შუა და მრავალი სახივარი გამართა. შოთებმა ამ ორ წოდებათა შორის უსიამოვნობა დათესა და სახივრებმა კიდევ თავი მოაბეზრა მებატონესა და გლეხსაცა. ახლა ამას ისიც ზედ დაართეთ, რომ მავ სახივრების გამო ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა გაიმართებოდა ხოლმე, დაბარება, გამომიება და ამისგამო სიხივარის თავი თუმცა იყო, მაგრამ ბოლო კი არა ჩანდა. რადგანაც აქ საქმე თითქმის დღიურს საზრდოებაზედ იყო შემდგარი, ამისათვის ვერც მებატონე ითმენდა და ვერც გლეხი იმ დრომდე, ვიდრე სამართალი თავისას იტყოდა. გაიმართებოდა ხოლმე ძალ-მომრეობითი ტაცება, დარბევადსხვამგვარი. ამდნაშაულობას შეუდგებოდა ხოლმე ახალი სახივრები და დავიდარაბები. ამავების გამო ცხოვრების ილაჯი გლეხსაცა და მებატონესაც გაწვევტილი ჰქონდა. რასაკვირველია, გლეხს უფრო ვიდრე მებატონესა, იმიტომ რომ გლეხი დღიური მუშა კაცია და იმისათვის სახივრების გამო აქა იქ თრევა და ტანტალი ლუკმა ჰურის დაკარგვანა. მართალია ზოგან რომ არაქათი გაუწვდათ ბატონსა და გლეხსაც, აიღეს და ევ სამფოთო და განუსაზღვრელი მეოთხედი გადაეკეთილ და გადაჭრილ გადასახადად გაიხადეს, ერთის სიტყვით, შინაურულად მორიგდნენ, მაგრამ საუბედუროდ ეველგან არა. ევ მარტო იქ მოხდა სადაც გლეხს უფრო კაც-მოუვარე და მშვიდობიანი მამულის

პატრონი შეხვდა და სანა მაგისტრისა მამულის პატრონი – გულ-მართალი გლეხი. უფრო ბევრგან კი ჯანბრისაგამო თუ დავიდარბის სიუვარულია გამო, ისევ ის განუსაზღვრელი, სანათაბალო, მიხეხიანი მეოთხედობა დარჩა. ამისგამო დღესაც თუ არ წეწვა და გლეჯან, უსიამოვნობა მაინც არის და არის.

მთავრობას, რომლის თაოსნობითაც გაუქმდა ჩვენში ბატონ-ემობა, წინაღვე დანახული აქვს ეგ უსიამოვნო შედეგი განუსაზღვრელის ეოფა-ცხოვრებისა და ბატონისა და გლეხის საკეთილოდ წამალიც ცნობილი და ნაპოვნი აქვს. თუმცა მეოთხედობა გლეხთა-განთავისუფლების წესდებაში შევიდა, მაგრამ მთავრობის შორ-მხედველობითმა მსჯელობამ უურადღება მიაქცია იმ უმცირესთა დედა-აზრსაც, რომელიც წინ მოვიხსენიეთ. იმავე წესდებაში ორი გზა არის ნახეხები ბატონ-ემობის საქმის უკეთ დაბოლოებისათვის. პირველი და უკეთესი ის, რომ გლეხს ღონისძიება აქვს მთავრობისაგან დანიშნული მამული შეისყიდოს და მეორე ის, რომ ვიდრე ეს მოხდება, ეგ მეოთხედი ერთს განსაზღვრულ და გადაკვეთით გადაჭრილ გადასახადათ უნდა იქცეს. ამ ორს საგანზედ შემდეგში გვექნება ლაპარაკი.

მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთა თვის.

წავიდა ის დრო, როდესაც თვითვეული სახელმწიფო, თუ საზოგადოება მარტო თავისის თავის მაუურებელი იყო და მარტო თავის კერძო ავ-კარგიანობაში გართული. თვითოეული ქვეყანა ისე მკვიდრად იყო კარხაკტილი და ზღუდე მოვლებული, ისე მიუკარებლად განმორებული სხვა ქვეყნებთან, რომ თითქო ჭირს ერიდებაო, ან მტერს ესაფრებაო. ერთის ქვეყნის ხალხი მეორეს ან მტრის თვალთ უეურებად, ან თავ-მოწონებით, რომ მე ის როგორ მკადრებაო. თქმა აღარ უნდა, რომ ამ გვარს კარხაკტილობას და მიუკარებლობას დიდი მავნებელი ზედმოქმედება უნდა ჰქონოდა ხალხთა ეოფა-ცხოვრებაზედ, უნდა ძალიან შეეფერებინა მისი განათლება, განვითარება, მისი უკეთესობის წადილი და მიდრეკილება. ოთხს კედელშუა დამწვევდელი საზოგადოება ერთხელ დადგინებული წესასა და ჩვეულების შეგუბებულს ჰაერში სულს იტრიალებდა; გარდა ამ ანც მხე და ანც გამაცოცხლებელი სიო არ ეკარებოდა. ჯეროვანად ცნობილი სხვის მაგალითი, რომელიც შეადგენს დიდს ძალს განათლებისას და უკეთესობისას, თავისის მესობლების გაცნობა, მათი ეოფა-ცხოვრების შესწავლა, მათის ავ-კარგიანობის შეტეობა და აქედამ ნაყოფის გამოტანა – ეველა ეს გაუგებარი იყო იმ

დროების საზოგადოებისათვის, თუ არ მტრობისა და ხსუბისთვის, თუ არ ომიანობისათვის ერთი ხალხი მეორეს არ შეხედებოდა ხოლმე.

ხოლო მოვიდა ჟამი და ქვეყნის ისტორიის სურათი სრულიად გამოიცვალა. საზოგადოებამ ჰსცნო აუცილებელი საჭიროება უცხო ხალხთა ცხოვრების გაცნობისა; დაინახა რომ თავისი ბედი და უბედობა ბევრად დამოკიდებულია უცხო ხალხთა ბედსა და უბედობაზედ, დაინახა რომ ხალხთა შორის მისვლა-მოსვლა, ურთიერთის გაცნობა ძლიერი საშუალებაა ხალხის წინ ფეხის წადვისათვის, ცხოვრების უკედ მოწეობისათვის. ამამი მდგომარეობს სხვათა შორის ამ ახალის დროის ერთი შესანიშნავი ღირსებაცა. როგორც აღამიანისათვის ცალკე, ისე საზოგადოებისათვის საერთოდ სხვის მაგალითი დიდი რამ არის ცუდი, თუ კარგი ორივე გამოხაეხებელია, ცუდს ავიცდეთ, კარგს მივითვისებთ. აქედან ჰსჩანს, რომ ეოველმა გახეთმა ანუ ჟურნალმა უნდა შესაბამი ადგილი მისცეს და ღირსეული უურადღება მიაქციოს უცხო ხალხთა ცხოვრებას და მდგომიანობას, თუ სურს სხვის მაგალითით თვით ცნობა გაუადვილოს საზოგადოებას, ბედნიერების გზა აპოვინოს, იმიტომ რომ ეოველ ამისათვის მაგალითი ცნობანი სხვა ცხოვრებაში აუარებელია.

ამ სახით სამაგალითო და ღირს საცნობ საცნად წარმოვიდგება სხვათა შორის უცხო ხალხთა საზოლიტიკო ცხოვრებაცა. გარდა ამისა ხალხნი და სახელმწიფოები ისეთ ნაირად არიან ერთი-ერთზედ დამოკიდებულნი, ურთ-ერთის საქმეში ჩართულნი და ჩაბმულნი, რომ ერთას საზოლიტიკო ცხოვრებას და მოძრაობას მეორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრითაც საზოლიტიკო ცხოვრების შესწავლას თვისი ღირსება და ადგილი აქვს. მაშასადამე ჩვენც უნდა მივეცეთ საზოგადოებას ღონისძიება, რომლის მეოხებითაც მან უნდა გაიცნოს უცხო ხალხთა ეოფა-ცხოვრება, და ცნობიერებით თვალ-უური ადვენოს მათს საზოლიტიკო მოძრაობასა. ამ მოვალეობის აღსასრულებლად დანიშნულია ჩვენის გახეთის ერთი ნაწილი „უცხოეთი“.

აწინდელ საზოლიტიკო ცხოვრების მიმდინარეობას მით უფრო ადვილად ავადვენებთ თვალ-უურს, მით უფრო სახეიროდ და მკვიდრად გამოვიყენებთ მას, რასაც ამ საგანზედ გავიგებთ და დავინახავთ, რამოდენადან ჩვენ შესწავლული გვექნება სხვა და სხვა სახელმწიფოების აგებულება, მათი საზოგადობრივი და მთავრობითი წეობილება, მათი აწეო და წარსული. ამ მიხეხით საჭიროდ ვრაცნთ წარუვდგინოთ მკითხველს ზოგიერთი თვალთ სახინო ცნობა იმ სახელმწიფოებზედ, რომელთა შორის უმთავრესად მიმდინარეობს ამ ჟამად

საზოლიტიკო ცნობებებს. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმისთანა საგანსა, იმისთანა საჭირო ცნობას, ურთმლისოთაც ჩვენის ფიქრით საუფლებ-დღეო მოძრაობა ზოლიტიკისა მხელად გასაკებია და მისაწვდომი.

ამ გვარ განხილვას ჩვენ ვიწყოთ ოსმალთა სახელმწიფოებთან, რადგანაც თითქმის ამ სახელმწიფოებზე არის ამ ქამად მიქცეული მთელის ევროპის განსაკუთრებითი უსრადლება.



ოსმალეთი. დიდძალი უჭირამს დედამიწაზე ოსმალეთის სახელმწიფოს. მისი სივრცე შეადგენს 103, 816 ოთხ-კუთხე მილს (გეოგრაფიულს *), ამ სივრცეზე სცხოვრობს ორმოც-და-რვა მილიონზე მეტი სული (48, 283, 400). უმეტესი ნაწილი ამ სივრცისა მდებარეობს აზიასა და აფრიკასა, ასე რომ ევროპის ოსმალეთს ეკუთვნის მარტო 9,594 ოთხ-კუთხე მილი, რომელსედაც (რუმინია და სერბიაც რომ შედ მივათვალათ) იმყოფება თხუთმეტ მილიონამდე მცხოვრები (14, 956, 900). ოსმალეთის ჰირ-და-ჰირის მფლობელობის ქვეშ იმყოფება სივრცე 6, 602 ოთხ-კ. მილი, რომელსედაც სცხოვრობს 8, 506, 900 სული.

აი როგორ განიყოფება ეს რიცხვი სხვა და სხვა ტომის ხალხთა შორის: ოსმალეები ორ მილიონზე ცოტა მეტია (2, 210, 800), დანარჩენი ეკუთვნის სლავიანებს (უმეტესი ნაწილი) ე. ი. სერბიელებს და ბოლგარბიელებს, შემდეგ რუმინიელებს, ალბანელებს, ბერძნებს, სომხებს, ურიებს, ბოშებს და თათრებსა.

ოსმალეთში მცხოვრები ხალხი სარწმუნოებით განიყოფება უმთავრესად ორნაწილათ, ქრისტიანები და მაჰმადიანები. ევროპის ოსმალეთში, ბალკანის ნახევარკუნძულზე, ქრისტიანნი შეადგენენ უმეტეს ნაწილს, მაჰმადიანების რიცხვი მხოლოდ ოთხ მილიონამდის აღის. ეს რიცხვი შესდგება როგორც ოსმალეებისგან, აგრეთვე სხვა ტომის ხალხებთაგანაც (სლავიანები და ალბანიელები), რომელთა შორის ბევრმა მიიღო მაჰმადის სარწმუნოება ოსმალეების ძალდატანებით და ბევრმა კი თავის ნებითა, უფრო აზნაურობამა და მამულის მუხატრანეებმა. ამათ ამით დაიხსნეს თვისი უფლებანი და თვისი ქონება. ეს გამაჰმადიანებული ბატონები, ეს თავიანთ სამშობლოს მოღალატენი უფრო სასტიკად ეკიდებიან თავიანთ აღრინდელ მოძმე ხალხს ვიდრე თვითონ ოსმალნი. ამიტომაც მათეენ არის მიქცეული მათის ქვეყნის რისხვა და შეჩვენება.

ჰირველად ოსმალეები შევიდნენ ევროპაში მცირე აზიიდან 1355წ., წაართვეს ბერძნებს ე.

აღრიანოზოლი, დაიპყრეს მაკედონია, ალბანია, სერბია და 1453წ. აიღეს სტამბოლი (კონსტანტინეპოლი). ამ წლიდან მოყოლებული და თითქმის მეჩვიდმეტე საუკუნემდე ოსმალეთის სახელმწიფო იზდებოდა და მკვიდრად სდგამდა ფეხს ევროპაში. მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნედგან ბედმა ღალატი დაუწყო: სერბია და ეხლანდელი რუმინია (უწინდელი მოლდავია და ვლახეთი) *) თითქმის სრულებით განთავისუფლდნენ, ოსმალეთს ხელიდამ გამოეცალა საბერძნეთიც და სხვა.; 1830 წ. საფრანგეთმა წაართვა მას ალჟირი, 1840 წ. ეგვიპტემ თითქმის სრულებით გაიტანა თავი. ეირიმის ომიანობაში ოსმალეთი სრულად დაიღუპებოდა საფრანგეთი და ინგლისი რომ არ მიშველებოდნენ.

ახლა გადავავლოთ თვალი ოსმალეთის შინაგან განწყობილებას და იმ საფუძვლებს, რომლებზედაც დამყარებულია მისი ძალა და გამძლეობა.

ოსმალეთში მონარხიული განუსაზღვრელი მართველობა **) ე. ი. მთავრობითი უფლება ეკუთვნის ერთ ჰირს, რომელსაც უწოდებენ ხონთქარს ანუ ფადიმაჰს. ეოველისფერი, რაცკი შეეხება თითოეულის კაცის ცხოვრებას ან საზოგადო განწყობილებას დამოკიდებულია ხვანთქრის განუსაზღვრელს ნებაყოფლობაზედ. ეოველი მისი ქვეშევრდომი კაცი უნებური ემა არის მისი და ერთიანათ, ხორციით და სულით ეკუთვნის მას. ხონთქარს განუყოფელად უზერია საერო და სასულიერო უფლება; იგი არის ლაშქართმთავარი, უმაღლესი მოსამართლე და მღვდელთმთავარი. ხონთქრის შემდეგ ჰირველი საერო ჰირი ოსმალეთში არის ვეზირთუხუცესი, რომელსაც ჰირ-და-ჰირ ემორჩილებიან მინისტრები და არიან მისი ხელქვეითნი. შეინ-ულ-ისლამი არის სამღვდლოების წარმომადგენელი, ულემების უფროსი, ულემები აღსრულებენ ორგვარ თანამდებობას: სასულიეროს და სამსაჯულოს. თვითონ შეინ-ულ-ისლამს კი არა აქვს არც სასულიერო და არც სამმართველო მნიშვნელობა. მისი საკუთარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ განმარტოს და აღსნას კანონი, როცა ამაზედ

*) სერბია და რუმინია ამ ქამად ოსმალეთის მოხარკე სახელმწიფოთნი არიან: ვალდებული არიან აძლიონ ოსმალეთს ეოველ წელიწადს დადებული გარდასახადი. მხოლოდ ამაში მდგომარეობს მათი დამოკიდებლობა ოსმალეთზედ, სხვაფრივ კი სრულებით თავისუფალნი არიან.

**) ეხლა ოსმალეთში გამაცხადებულია ხონთქარის ნება, რომლის ძალითაც მის ხალხს ეძლევა კონსტიტუცია ე. ი. იმრივი მამრთველობა (სხვა ევროპიელის სახელმწიფოების მსგავსად), რომლითაც ხონთქრის თავისუფალ ნებას ეძლევა საზღვარი, ისე რომ ერთი შესანიშნავი ნაწილი ფადიმაჰის უფლებისა უნდა მიეცეს თვითონ ხალხს. ეს ახალი წესი გამოცხადებულია და ჯერ სუფევს მხოლოდ ქალაღზედ.

*) გეოგრაფიული მილი შვიდი ვერსტია

ცილი ჩამოვარდება.

ეველა უმაღლესი თანამდებობის კაცები შეადგენენ საბჭოს, რომელსაც უწოდებენ დივანს, ამისგარდა 1808 წ. დაარსებულია სახელმწიფო საბჭო, რომელსაც კანონმდებლობითი უფლება აქვს მინიჭებული, ესე, იგი, კანონისა და წესდებულების დადგენის უფლება. მისთა მწვერთა ირჩევს და ნიშნავს თვითონ ხონთქარი.

ოსმალეთის სახელმწიფო დაყოფილია რამდენიმე ვილაიეთებათ, იმის მსგავსად როგორც საფრანგეთი დეპარტამენტებათ ან რუსეთი გუბერნიებათ. თითო ვილაიეთის უფროსი არის ვალი (გენერალ-გუბერნატორი). ვილაიეთი შესდგება რამდენიმე სანჯაქიდან (უესდები), რომელთა უფროსებს უწოდებენ მუტტე-სარიფებს. თითო სანჯაქი თავის მხრით შესდგება რამდენიმე ყაზახსიდან, რომლის გამგებელი არის კაიმაკამი.

რასაკვირველია ეს შემოსენებული განწყობილება არ შეეხება იმ ქვეყნებს, რომელნიც მხოლოდ ხარკს აძლევენ ოსმალეთს და სხვაფრივ კი სრულებით თავისუფალნი არიან. ამთ თავიანთ განწყობილება აქვთ.

ოსმალეთის შემოსავალი ერთიანად იქნება 160 მილიონი მანეთი, გასავალი კი 190 მილიონზე მეტი; ასე რომ ეოველ წელიწადს აკლდება 30 მილიონი მანეთი და ამისგამო განუწყვეტელ ვალშია ჩავარდნილი. 160 მილიონიდან მარტო ვალების სარგებელში ოსმალეთს ეხარჯება 100 მილიონამდისინ და მის სანარჯათ რჩება მარტო 60 მილიონი.

აქედან ხსანს, რომ საშინელს ვალში უნდა იეოს ჩავარდნილი ოსმალთა სახელმწიფო. მაგალითებრ, ორის წლის წინეთ მისი ვალი იეო 1,500 მილიონი მანეთი. ახლა იფიქრეთ როდის უნდა ამ უბედურმა გადაწყვიტოს ამოდენა ფული? სახელმწიფოს, რომელიც ამისთანა მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ცოტალა უკლია გააკოტრებადღე და დიდი ხანია გააკოტრდებოდა კიდევ ევროპიელი ბანკირები რომ არ მომუკლებოდნენ. ესენი თითქმის ნახევარ ფასათ ეიდულობდნენ ოსმალეთის თამასუქებს და როგორც იეო ასალებდნენ ბიჩქაზე. უბედურება ის არის, რომ ეს უმუკლებელი ვალი, სრულებით უნაყოფოთ იხარჯება და არა ვითარი წარმოება არ აქვს ხალხის სიკეთისა და კეთილ-მდგომარეობისათვის. უმეტესი ნაწილი ამ ფულისა მიდის სულთანის არამხანაზე (гарем), და სხვა და სხვა მოხელეთა ჯიბეში.

ოსმალეთის უფლება დამყარებულია, რასაკვირველია, სამხედრო ძალაზე, რომელიც ამ რივად არის გამართული: 1869 წ. დადებული კანონით ეოველი სრული წლოვანი მაჰმადიანი ვალდებულია სამხედრო სამსახურისა. ლაშკარში უნდა იგი უნდა ითვლებოდეს ოცი წელიწადი: ოთხი წელიწადი მოქმედ ლაშკარში

(ნიხამი), რვა წელიწადი რეზერვში (რედიფი) და რვა წელიწადი ლანდმტურში, ე. ი. იმ ნაწილში, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია და მხოლოდ ომიანობის დროს გამოიწვევა.

მშვიდობიანობის დროს ოსმალეთის ლაშქრის რიცხვს შეადგენს 157, 667 კაცი. ომიანობის დროს კი ოსმალეთს გამოჰეავს ლაშქრათ — 586, 100 კაცი. ამას უნდა მიუმატოთ სამხედრო ხომალდის ჯარი, რომელიც შეადგენს 50, 000 კაცს ომიანობის დროს.

დიდ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს ოსმალეთის შინაგანი ეოფა-ცხოვრება. თუცდა ბუნება ოსმალეთში მდიდარია და უხვად აძლევეს მას ეოველისფერის მოსავალს, მაგრამ ხალხი კი საშინელ სიღარიბეში და სიღლანაკეშია ჩავარდნილი. ეს გარემოება ჩვენის აზრით დიდათ შესანიშნავია და დირს რომ შეუდგეთ ცოტადნათ დაწვრილებულ მოთხრობას, მით უფრო რომ ენლანდელი სლავიანების არეულობა გაუგებარი დარჩება თუ არ გამოვიკვლიეთ ოსმალეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩვენ გვეჩება მხედველობაში ნამეტნავად ბალკანის ნახევარ-კუნძული, რადგანაც მხოლოდ აქ მცხოვრები ხალხი აძლევეს ოსმალეთს იმ მნიშვნელობას, რომელიც მას აქვს ევროპიის ისტორიაში ამ უკანასკნელს დროს.

ავიღოთ მაგალითად ჰერცეოვინა, ის ნაწილი ბალკანის ნახევარ-კუნძულისა, რომელშიაც ჰირველად ასტელა სლავიანების აჯანყება 1875 წ., რომელიდამაც გადაედვა ევ აჯანყება თითქმის მთელ ნახევარ-კუნძულს და რომელმაც წამოაყენა ენლანდელი პოლიტიკური არეულობა ევროპაში.

ჰერცეოვინა არის სანჯაქი ბოსნიის ვილაიეთისა. მისნი მკვიდრნი მცხოვრებნი სერბიელნი არიან. უმეტესი ნაწილი ქრისტეს სარწმუნოებისაა და ზოგნი კი მაჰმადიანები. ეს მაჰმადიანები არიან შთამომავალნი იმ ახნაურმფილთაგან, რომელთაც, როგორც შემოდ იეო მოხსენებული, ჰერცეოვინის დამორჩილებისა და აოხრების დროს, მიიღეს მაჰმადიანობა და მითი მოიგეს თავიანთი მამულები, ქონება და ადრინდელი უფლებანი.

ეოველ ქვეყანაში ხალხის კეთილ-მდგომარეობა, მისი ეკონომიური ცხოვრება ბევრად დამყარებულია მასზედ თუ როგორ არის განწყობილი მცხოვრებთა მორის მიწის მფლობელობა. დაზვიდოთ რა გვარად არის მოწყობილი ჰერცეოვინაში ეს მიწის მფლობელობა. მაჰმადიანთა სასულიერო წიგნში, რომელსაც ეორანს უწოდებენ, გამოხატულია ის კანონი, რომლის ძალითაც მიწა ერთიანად ალლაჰის საკუთრებაა და იგი ვისაცა სურს, იმას ჩააბარებს მოსახმარებლად, ამის დაგვარად მიწის მფლობელობის უფლება, მაჰმადიანის კანონის ძალით, მინიჭებული აქვს ხონთქარს, რადგანც დღემდე მიწაზედ ალლაჰის წარმომადგენელი მარტო იეია. ამის

გამო განუსაზღვრელი ჰატრონი მთელის ოსმალეთის მიწისა მარტო ხონთქარია და თუ კერძო ზირთ ხელთ უჭირავთ მარტო იმისათვის, რომ დროებით იხმარონ და სამუდამოდ თავისათ არ გამოელოდნენ. ამ შემთხვევაში ხონთქარის ნებას წინ ვერ დაუდგებარა. როცა სურს, ერთს წაართმევს მიწას და გადაჰსცემს მეორესა, ან ერთსაც ხელ ცარიელს დასვაძს და მეორესაც. ამ გვარს ძირეულს წუობილებას ის სამწუნარო შედეგი მოხდევს, რომ მიწის დროებით მხმარებელს არავითარი სარფა და ხალისი არა აქვს ბევრი შრომა გაჰსწიოს მამულის სამკვიდროდ გაკეთებისათვის, უკედ შემუშავებისათვის. შემამულებს ხვალის იმედი დაკარგული აქვს: დღეს ასეა, ხვალე ღმერთმა უწეის რა იქნებაო.

აი ამ საგანსედე რა შეუნიშნავს ჰერცოგოვინაში ერთს მწერალსა. იგი მოგვითხრობს:

„როდესაც ჰერცოგოვინის უფროსებმა მიიღეს მაჰმადის სარწმუნოება, ხონთქარმა მოჰამედმა II დაურია მათ თითქმის ერთიანად რაც მიწა იყო. ხალხსკი, რომელმაც არ ინდობა ქრისტიანობის დღეატი, მიწის საკუთრება ჩამოერთო. იგი დაწნა თვის მიწასედე მოიჯარადრეთ, მას უნდა ემოქმედებინა იჯარასავით აღებული მიწა, მიწის ჰატრონისათვის ეძლია ხარჯი და მთავრობისათვის მოსავლის მეათედი ნაწილი. თუმცა ნამდვილი ბატონ-ჟობა ჰერცოგოვინაში არასოდეს არა ეოფილა, მაგრამ ეკონომიურის მხრით ჰერცოგოვინის რაია (გლეხი) სრულიად ემა იყო მიწის ჰატრონისა, რომელსაც აღას ეძახიან. რაიას სრული უფლება ჰქონდა ერთის ადგილისათვის დაენებებინა თავი და მეორესე გადასულიყო, მაგრამ ეს უფლება მისთვის სრულებით ფუჭი იყო. რადგანაც ეოველგან ერთრიგი მოწუობილობა დახვდებოდა ხოლმე და აღისა და ადგილის გამოცვლით მისი ბედი არ იცვლებოდა. გარდა ამისა მიწის მეჰატრონიებს ზირობა ჰქონდათ შეკრული, რომ არ მიელოთ იგი, ვინც უკმაყოფილობით ერთს აღას თავს ანებებდა და მეორესთან მიდიოდა. რაიას არავითარი ღონისძიება არა ჰქონდა რომ ამ უბედურ მდგომარეობას როგორმე გადარჩენოდა, რადგანაც არ იყო მისთვის დანიშნული სახელმწიფო მიწა სამუდამო სამფლობელოდ. თუ ქრისტიანი როგორმე მოახერხებდა და ჩაიგდებდა ხელში უქმს მიწას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრება იყო, ანუ სადმე ტუეში ახოს გამოიღებდა და საცხოვრებელს გაიკეთებდა, მაშინვე მის მეხობელი აღა დაიხემებდა ამ მიწას და თვით მოამაგეს კი ხდიდა თავის მეიჯარადრეთ (КМЕТЬ). ოსმალეთის მთავრობა არასოდეს არ ეოფილა იმდენად შემძლე, რომ შუამდგომლობა გაეწია მეიჯარადრის და აღის შორის, თავის მფარველობის ქვეშ მიეღო მიწის მოამაგის შრომა და მით დაესწნა იგი ადგილობრივის თავად-აზნაურობის ძალდომრეობისა

და ტაცებისაგან. ეს თავად-აზნაურობა რასაც უნდა იმას მოქმედობს. ჩივილი ფაძასთან სრულებით უნაყოფოა და რაიის სამწუნარო მდგომარეობას არა ვითარს შეღავათს არ აძლევს. მისი სიცოცხლე და ქონება აღის ხელშია.

ამგვარი განწუობილება მამულიანობის უფლები-სა ძალიან მავნებელია როგორც სახელმწიფოსათვის, აგრეთვე ხალხის ეკონომიურის წარმატებისათვის. ჰერცოგოვინას საუბედურთ მიწაც ნაყოფიერი არა აქვს. ეგეც რომ არ იყოს, თუ კაცი თავისუფალი და დარწმუნებული არ არის, რომ მისი საკუთარის ოფლით ნაშრომი მისია, ხელუხლებლად თვით მოხმარდება და სხვა არ შეეცდილება, იმისი ხალისი შრომისათვის მკვდარია, იმისი მეურნეობა წინ ფეხ-წაუდგმელია, უკეთილია. ჰერცოგოვინის რაიიმ კარგათ იცის, რომ იგი თავის ქვეყანაში მხოლოდ მუშა ხარია. რავინდ ჯაფა განწიოს და სულიც გაიგდებინოს ძაინც ახალ-ახალი გარდასახადი უარესს დღეს დააერის. ამის გამოისობით ეოველს ჰერცოგოვინელს მარტო ისა აქვს ფიქრად, რომ თავისის ოჯახის სამყოფი მოსავალი მოიყვანოს და მხოლოდ მარტო ამისათვის ამოქმედოს მიწა.

მიწის უკედ შემუშავება, მისი გაკეთება, განაყოფიერება ამისათვის ოფლის ღვრა, მეტის შემენისათვის შრომა იმას გულისდამ ამოღებული აქვს.

ხვანთქარის მთავრობას არავითარი ღონისძიება არ მიუღია, რომ როგორმე შესწევტოს ეს ქვეყნის დასაღუნავი უწესობა მაჰმადიანის აღის და ქრისტიანის რაიის შორის დამით ბრძოლას და ვაი ვავლანს ბოლო მოუდოს.

მთავრობა იქმნება კიდევ ძალად სუჭავდეს თვალს, რომ ურთიერთის მტრობით ჰერცოგოვინამ ძალა გამოიღიოს და მით უფრო მტკიცედ და ამასთანავე უხარჯოდ და უიარაოდ დაამეარებინოს მუნ მთავრობის უფლება. საზოგადოდ მთელს ოსმალეთში ერთი უცნაური წესიც არის მაჰმადიანთ-მამულის მეჰატრონიუთ სასარგებლოდ. რადგანაც მიწას სახელმწიფო ხარჯი ადევს, მაჰმადიანები აი რა საშუალებას ხმარობენ, რომ ეგ ხარჯი თავიდან აიცილონ: რომელსამე მეჩითს მეწვირვენ ხოლმე თავის მამულს და რადგანაც მამული ამით წმინდანის კუთვნილებათ შეიქმნება, ამისგამო იგი თავისუფალია ეოველის გარდასახადის და ხარჯისაგან, თუმცა კი მამულს ისევე თვით შემწირველი ხმარობს თავის სასარგებლოდ და არავის არასფერში წილს არ უდებს. ამ რიგად შეწირულს მამულებს ჰქვიან „ვაკუფ“. თითქმის მთელი მესამედი ოსმალეთის მიწებისა ვაკუფად არის დადებული. ამ მიწებიდან არავითარი შემოსავალი არა აქვს სახელმწიფოს. რაც რამ მიწის

*) ეს მეათედი (ახის-თავი) თან-და-თან მატულობს და ეხლა თითქმის მეოთხედამდე ასულია.

ხარჯია სახელმწიფოში აწევს სურგ სე იმავე რაიას.

მაჰმადის კანონის ძალით შეათედი ნაწილი მოსახლისა ხაზინაში შედის, *) აი მაგალითად როგორც ჰკრეფენ ამ ხარჯსა. ეს გარდასახადი, როგორც ეოველივე სხვა ხარჯი ოსმალეთში კერძო ჰირებს აქვსთ აღებული იჯარით. გუთნის-დედანი ვაღდებულ არიან მოაგროვონ ერთიანთ ჭირნახული ერთს ადგილს, მინდორშივე დააწეონ და ისე შეინახონ ვიდრე ხაზინის მოხელე თუ მოიჯარადარე მოვა და წაიღებს შეათედ ნაწილს. ეს ასეა დაწესებული, რომ მოტეუებს ადგილი არ ჰქონდეს. ვიდრე მოხელე მოვა ჭირნახულს ან წვიმა დასველებს, ან საქონელი ააოხრებს, ან ფრინველი შეჭსჭამს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვიდრე ხაზინა მოვა და წაიღებს თავის შეათედს, ჭირნახულს თითქმის ნახევარი ფასი აკლდება.

ქალაქის სცენები

ერთის დღის აღწერისა 1876 წ.

I

(ქუჩაში ორი დედაკაცი ერთმანეთს შეევერებიან).

— მშვიდობა შენი ნახვა, ბატონჯან, როგორა ბრძანდები, ხომ მშვიდობითა ხარ? რახანია არ მინახევხარ. ასეთი მენატრებოდნი, ვიძახდი ნეტავი ერთი ბატონი ვნახო მეთქი.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს და კეთილი, ჩემო თინათინ! მზის ცქერით გამაძღარიმც ყოფილხარ და დაგიბეროს ღმერთმა ი შენი ყვავილები! მე რალა ყოფაში ვარ, რომ იცოდე, ჩემო დაზე უსაყვარელესო დაო და თვალის სინათლევ!?! დღე მოსვენება აღარა მაქვს და ღამე ძილი. ფიქრისაგან ჰკუაზე აღარა ვარ; ასეთი ნაღველი და ვარამი დამაწვა, რომ ღმერთო შეგცოდეს სულის წაწყმენდისა არ მეშინოდეს, წყალს მივეცემოდი.

— რა ამბავია, ბატონჯან, ავათ ხომ არავინ გაგხდომია? გული შეიმაგრე დედაკაცო.

— ავათ კი არავინ გამხდომია, ვენაცვალე ღვთის მადლსა; მაგრამ ავათმყოფობაზე უარესი ვარამი მაწუხებს. აბა შენ იფიქრე, ერთი შვილის მაყურებელი რა გულით უნდა ვიჯდე: ამბობენ, ახლა კარ-და-კარ უნდა იარონო და ბიჭები სალდათათ უნდა ჩასწერონო. აბა რა დღე მადგება ამ მოხუცებულობის დროსა!

— იჰ, დედაშვილობას! ჰორებს ყურს ნუ უგდებ, ტყუილი ამბავია ეგ ამბავი. შენგან არ მიკვირს, ჰკვიანი დედაკაცი ხარ, ეგ რა დასაჯერებელია!

მოხუცებული დედაკაცი ხარ, განა არ გეხსომება მაგისთანა ჰორები რამდენჯერ მოუგონიათ და ყოველთვის კი გამტყუნებულა. მე კი არ მოვსწრებივარ და გაგონებით კი გამიგონია, რომ ერმოლოვის დროს ლაპარაკი ყოფილა, სალდათი უნდა გაიყვანონო.

— ეგ კარგა არ მახსოვს.

— ვიშ ქა, ერმოლოვის დროსა!

— ჰო, და მერე შვილო, თქვი.

— მერე ისა, რომ ქალაქის ხალხი და ამქრობა ამდგარა ერთ დღესა, თოფ-იარაღით შეკმაზულა და გასულა ერმოლოვის სახლის წინა. ერმოლოვს უკითხამს, ეს რა ამბავიაო, და ხალხს უთქვამს: ჩვენი მეფეების დროს ასე ვიცოდითო, როცა ომი იქნებოდა, ქუღზე კაცი გამოვიდოდითო და კვლავაც მზათა ვართო; თუ ომი იყოს საღმე, ასე გამოვალთო. სალდათები არა ვართ, მარა ვართო? სალდათის გაყვანა რათ გინდათო? ერმოლოვს თურმე უთქვამს: წადით დამშვიდდით, თქვენ თქვენ საქმეზე იყავითო. საქართველოს ხალხი მეომარი ხალხიაო და სალდათათ თავის დღეშიაც არ გავიყვანთო, რადგანაცაო რომაო ყოველთვის თითონვე გამოვა ომშიო და ვაჟ-კაცობა კარგი იცისო.

— ღმერთმა კეთილი არ დაუღიოს. ეგრე, ეგრე ახლა მაგონდება.

— ხომ გეხსომება ერმოლოვი? იმისი სიტყვა ხომ იცი რა სიტყვაა. დიდი გამოჩენილი მთავარ-მმართველი იყოვო, ასე რომ იმისი სიტყვა თავის დღეში ძირს არც დავარდნილა და არც დავარდება. ხომ გაგიგონია ხელმწიფესთან მიღებული კაცი ყოფილა?

— დიან გამიგონია და მახსოვს კიდევცა. ასეთი წამოსადეგი კაცი იყო, რომ მტრის სანატრელი.

— ჰოდა ტყუილია სალდათის გაყვანა და ნურც ინაღვლი, ღმერთი მოწყალეა.

— ღმერთი მუდამ მოწყალეა, ვენაცვალე იმის მადლსა, მაგრამ სანამ ეს საქმე არ გათავდება, მე კი გული გულის ადგილს აღარ მექნება. შენ შვილო მეუბნები, ტყუილიაო; მაგრამ თუ ტყუილია, ე ხალხი მაშ რას ლაპარაკობს, რომ კარ-და-კარ გაწერა იქნებოდა და სუყველა დიდი და პატარა ახალ დავთარში უნდა ჩავარდესო. ეს გულს მიხეთქამს. ეს რა დავთარია, რომ ახლა ეს ახალი დავთარიც შემოუღიათ? ერთი დავთარი ხარჯის დავთარია ქალაქისა; ჩაწერილია ჩემი შვილი და გათავებულია. ე რალა დავთარია?

— ეგ არ გამიგონია.

– როგორ არა. დავთარი უნდა ჩამოატარონ და ძუძუ-მწოვარიდამ მოყოლებული საპყარ მოხუცებულამდინ სულ უნდა ჩასწერონო. სულ წვრილათ უნდა ჩასწერონო; ქალი იყოს თუნდა კაცი; რა ხელობისაა, რა ქონება აქვს, დედამა ჰყავს, თუ დედამთილ-მამამთილი, სიდედრ-სიმამრი, ქვისლი, – ერთის სიტყვით მეშვიდე თაობამდის რაც ნათესაობა ჰყავს, ისიც კი უნდა ჩასწერონ.

– ახლა მითომ ეგ რაღა საჭიროაო, რომ მეშვიდე თაობამდინ ყველა უნდა ჩასწერონო?

– ღმერთმა ნუ იცის ეხლანდელის დროსა და ჟამის ამბავი! ზოგს ცოლი ჰყავს გაქცეული, ზოგს ქმარი, ზოგს შვილი და მითომ ესენი სულ უნდა გამოჩნდეს და გამოცხადდესო; მაგრამ უფრო მეტადრე იმისთვისა, რომ სასაღდათო ბიჭები და ვაჟ-კაცები მოსძებნონო.

– დედამიშვილობამ სულ ტყუილი ჭორებია და უბრალოთ კიდევ იმას შეუშინებხარ. აგრე კი არა, აი ასეა; ახლა მივხვდი, რომ სწორეთ არ შეგიტყვია. ქალაქში ახალი უფროსი გამოუგზავნიათ, რომ ყველა ვითარება შეიტყოს. კაცებით უნდა მოიაროს ყველას სახლი, დიდისაც, პატარისაც. ყველას სახლი უნდა გაჩხრიკოს, აფურჩუფურჩუ კი უნდა გაჩხრიკოს და გამოიძიოს. უნდა გამოიძიოს და შეიტყოს, ვის სად რა საჩივარი ჰქონია, ან არზა მიუტია სადმე, ან სასამართლოში შესულა, ან პოლიციაში, – ყველა დაწვრილებით უნდა გამოიძიოსო და სამართალი თავისის ხელით გადასჭრასო.

– ეგ კარგი საქმე ყოფილა! აი ეგ კარგი და ღვთის მოსაწონი საქმეა. ღმერთმა გიშველოს, ჩემო შვილო და თვალის ჩინო, რომ გული დამიმშვიდე და შვება მომეცი. ღმერთმა სამაგიერო გადგიხადოს! სწორეთ კი ეგრეაო?

– სწორეთ დედამიშვილობამა! თორემ ნახამ ამ ორიოდ დღეში კიდევ დაივლის ქალაქსაო. მოსკოვიდამ გამოუგზავნიათ.

– კეთილი იყოს იმისი ფეხი! რამდენი ატირებული დედა არის და დაცემული ოჯახი! მშვიდობით ჩემო დაო.

– მშვიდობით, ბატონჯან, ღმერთმა გული დაგიმშვიდოს!

(შემდგომი იქნება)

ანჩისხატისუბნელი.

„კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რასაკვირველია“

აი ესეც ახალი გასწეი ჩვენის ძველის სახელითა. ძლივს არ დაიბადა!.. მაგრამ რაღაც უკემური

კი გამოდის. ფხა არა აქვს, ფხა!.. მოჰყოლიან, ბატონებო, ეს მეცნიერებო, ეს ცხოვრებო, ეს ისაო, ეს ესაო. ვჰსთქვათ რომ მართლაც მეცნიერი იყოს (ტუის კი თქვენმა მხემ), ვჰსთქვათ, რომ ცხოვრების ამწონიც და დამწონიცა, – ვითომ მაგით რაო? არა ვის წინა თამაშობთ მაღაყებსა? მაგითი გინდათ თვალი ავებობთ განა? მაშ კარგად გიცვნიათ ქართველები, მოგესწვით ბატონებო, ასეთს კორიანტელს ავიყენებთ, რომ თქვენის საქმის, ვერც თავი გაიგოთ და ვერც ბოლო. ვითომ ბევრი ქექა და თავის-ტუენა დაგვჭირდება თუ!.. ამის მეტი ხომ არა დაგვეხანჯებარა, რომ ეგ თქვენი „ივერია“ უკუღმა წავაკითხოთ საზოგადოებასა. ეგ სახელი უკუღმა რომ წავაკითხოთ „აირევი“ გამოვა. აი ავერით გზა და კვალა!.. კაი სახელი დავირქმევით, ო თქვენმა მხემ!

რაო? მეცნიერება და ცხოვრებო?!.. აი მენი კი დავცვათ. გასწეით მეცნიერებისა და ცხოვრების შორის შუამავალიაო. მაქანკალი გეთქოთ. არა, ჯერ ერთი ეს მითხარით: ჩვენს უფერულს, უგემურს, ზღაზღნით მოარულს ცხოვრებას რა აქვს დასაბარებელი მეცნიერებასთან, რომ მოციქული ავიჩენიათ. ან თვითონ მეცნიერებას ნუ თუ უჩვენოდ ვეღარ გაუძლია, ნუ თუ უჩვენოდ ფეხი წინ ვერ წაუდგამს, რომ მის მხრითაც შუამავლის მოგზავნა საჭიროდ დაგინახავთ. ჩვენს ცხოვრებას მეცნიერებასთან რა ხელი აქვს და მეცნიერებას ჩვენს ცხოვრებასთან? ვითომ აქამოდმე, რომ ესენი უძმრანად ივენენ და უერთმანეთოდ სუფევდენ – რა ცუდი იყო, რა დაგვაკლდა? არაფერი, თქვენმა მხემ. მაშ ისე რა გასჭირებია ან მეცნიერებას, ან ცხოვრებას, რომ ერთმანეთთან მოციქულის მივზავნა დაჰსჭირვებით და ამ მოციქულათ ამოურჩევით ეს ახალი გასწეი. მაგრამ ვინ იცის? იქნება ერთს მეორის ვალი ედოს, იქნება ესლა დრო მოვიდა გადახდისა და ვიდრე ისტორიის წინაშე განიბჭობიან, სურთ რომ მოციქულის ჰირით როგორმე მოშველდენ? იქნება თვითონ ცხოვრებაც ადამიანისა სესხი და ვალი იყოს? თუ ეგრეა, ჩვენ ქართველებს ათადამ ბაბადამ მაგ სესხისა და ვალის მეტი არა გვიკეთებიარა? გვიღია სესხიცა და გვიხდია ვალიცა. ეგ დიდის ხნის ამბავიაო, მეტევი, მკითხველო! მაშინდელია, როცა ჩვენი ცხოვრება ჩვენს მხრებსედ ეუუდა; როცა ამ მძიმე ტვირთიდან მხარის გამოცლა ჩვენში სირცხვილი ყოფილა. ესლაო? ესლა სესხია ჩვენი ცხოვრება ვეულანათვის და ვალია თუ არა ვისთვის მე – ეგ კი ღმერთმა იცის.

შორს წავუდი. რაზედ დავიწეე ლანჯარაკი და რაში გავუბი. ქართველი ვარ და ტიტინი მიევარს. შემინდეთ მეტი სიტყვა.

გაზეთმაო მენიერების შენობისათვის ცხოვრებისაგან მოგროვილი ქვა-კირი უნდა ზიდოსა და იქიდან კიდევ დედა – ჰანრები უნდა გადმოიტანოს ცხოვრებაშიო, ნეტა რას მიჰქარავთ!.. მამ ჩვენი ცხოვრება ქურანანა ეოფილა და თქვენი გაზეთი ტვირთთა მზიდველი სახედარი და სხვა არა რა? ეგ ეგრეც რომ იეოს, რად გიტყენათ თავი, მაგოდენა ტვირთი რად აგიკიდნათ? ორში ერთი: ან უნდა გვაჩვენოთ რომ ღონივრები ვართო, შემოგვხედეთ რამოდენა ტვირთსა ვძრავთო, ან გინდათ დაგვანახოთ, რომ გაზეთი ტვირთია და არა ქეიფი, შრომა და არა ცუდლუკობა, საქმეა და არა მანხარაობა, ვითომ თქვენ მართლა მენიერების კარი უნდა გავგიღოთ?.. თუ ეგ მაგრე ადვილი იეოს, ვითომ ჩვენ უთქვენოდაც მაგას არ ვიქმოდით?.. მენიერება სალაროა, საცა აწვეია უკეთესი განძი ადამიანის უკეთესის ჭკვითა და გრძნობით მოპოვებული; იგი უდიდესი ტანარია, საცა დაუდებელია დიდებული ხატი კაცობრიობისა, ადამიანის ჭკვითა და გულით მვირფანის თვალებით შეჭედლი, საცა განუქრობლად ანთია უმძვენიერესი ხომალდი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებული ჭკმძარტებისა. თქვენ იქ, ამ უწმინდეს ტანარში თქვენი გაზეთი – ეგ ტვირთთა მზიდველი სახედარი უნდა შეიქვანოთ?!.. ფიცა მწამს და მეძინიან ბოლომ არ გამაკვიროს.

ფიცს მალე ვიწამებთ ხოლმე, იმიტომ – რომ გულხჩვილნი ვართ და მალე დამჯერნი, მაგრამ ბოლო კი ეოველთვის გვაკვირვებს, იმიტომ – რომ უბედურნი ვართ; ეოველი ჩვენი უკეთესი იმედი მტვრად აუგვია ამ უღმობელს ქვეყნის უკუღმართობას და ცხოვრების მძღვრიე წყალთა დენასა წაუღამავს, წაუღექნია. ვჰსტირით და ვალალებთ რომ ეს ასრე მოხდება ხოლმე და როცა ღრმად ჩაფუიქრდებით, ის კი აღარ გვიკვირს, რომ უბედურნი ვართ, მარტო ის გვიკვირს როგორღა ვართ ცოცხალნი შაბას, ქართველთ გამძლეობას!..

ნუ დამიღონდი, მკითხველო! რა ვქნა, სიცლით ვიწეობ და გლოვით ვათავებ ხოლმე. სიცლი და გლოვა ვითომ დაძმანი არ არიან? ვითომ ხელი – ხელ გაურღილი არ დაიარებიან იმ მუშტის-კრივში, რომელიც არსებითის ჰურისათვის დღე ეოველ გამართულია და რომელსაც ცხოვრებას ეძახიან? ორ ზირია, ბატონო, ცხოვრება: როცა ერთი ზირი უცინის, მეორე უტირის. ნუ დამიღონდი. ავევთ კიდევ ამ ჩვენს ახალს გაზეთსა. თუ ეგრეა დაწესებული, დეე სიცლი-ტირილმა, ამ დაძმამა გვდიოს ჩვენ ბოლომდინა.

მოჭეოლია ეს ახალი გაზეთი და ევირის: ჩვენ არ ვიკადრებთო ადამიანის შეურაცხელობასაო. ნუ იკადრებთ, თუ გიუვარდეთ. განა ქართველები არა ხართ? ვაი თქვენს ღხენასა, თუ ეგრეა. და თუ

ქართველები ხართ, გული გაგიძლებთ, რომ არ იმანხარაოთ!.. ეოველი წესი, ჩემო საეუვარელო, ჰა-ჭიჭსა ჰგავს, თუ კი ერთი წვერი შემოერღვა, გათავდა კიდევ – სულ ბოლომდე რღვევით წავა. ეს კარგად დაინსამეთ და ჩაიჭდიეთ გულში.

ეს ადამიანის უფლებაო, ეს ზნეობითი კანონიო!.. დასწვევლათ დმერთმა, რეებს არ მოიგონებენ კაცის მადღურებისათვის! გვისწენ, უკუღმართო წუთო სოფელო, ამ ბორტებისაგან! ბევრი კვერი დატრიალებულა ჩვენს თავზე და ამისთანა კი ჯერ არც ერთხელ. რაებს ბოდვენ!.. ახლა გინდათ ეგ ვალიც დაგვადოთ კისერზედ, რომ კაცის უფლებას, ზნეობითს კანონს საეარაულო გავუძმართოთ. ცოტა ვალი გვაქვს, რომ ეგრეც ზედ არ დაართათ. ამ საადგილ-მამულა ბანკებს კი გადაურჩით, რომ მაგაებისათვის მოვიცალოთ! თუნდ ეგრეც არ იეოს, მამ მანხარაობას ქვეყანაზედ ადვილი აღარ ჰქონია. მამ ადამიანმა რით უნდა მოიძოს გულიდამ ეოველ ცისამარის დღის ვალალებს! რით უნდა გაართოს გული! და თუ მანხარაობას ადვილი აქვს, რაზედ და ვისზედ იმანხარებთ, თუ არა დამიანზედ, თუ არ ჩვენს მოძმეზედ? დავიჯერო, რომ თქვენ აქუენი არ წავისხლტებად და ადამიანის უფლებას და ზნეობითსა კანონსა თქვენ ცოტად თუ ბევრად არ დაარღვევთ? ჰაჭიჭი გახსოვდეთ, ჰაჭიჭი! მაგრამ რა? მივიხვდით, მივიხვდით თქვენს ოინაზობას. დახეთ, დახეთ შიშით რა სოროში შემვრა დაბადებისეე უძალ ეს „ივერია“? თუძცა სოროში მიძალეთ თავი, კუდი კი გარედ დაგრჩათ. არ ვიკადრებთო! ეს კაცის უფლებაო, ეს ზნეობითი კანონიო! დამეკარგენით!.. თქვენ კარგად იცით რომ თქვენს გაზეთს გამწხრეკი აუხნდება ვინმე. უამისოდ გაზეთი უსულაა, უფეროა, უღონოა. რადგანაც თქვენ თქვენის თავის იმედი არა გაქვსთ, რომ თქვენს მოპირდაპირეს სიტუვა შეუბრუნოთ, თვალი გაუსწოროთ, შიშით და სირცხვილით ხმას გაიკმენდთ და იტყვიით: არ ვკადრულობთო. თუ ეგრეა ასე მოუხრჩოლებთ ამ თქვენს „ბურთივით რგვალს“ რედაქტორსა, ასე მოუეფამთ, რომ აილოს და თვითონვე გამოძვრეს სოროდამა. აბა სეირი მაშინ იქნება აი! აბა მაშინ ვიცინებთ და ვინახარებთ! ჩვენს უგემურს ცხოვრებაში ამის მეტი არც გვიხდა. ჩვენ ქართველები ვართ, ბედს ჩვენთვის გული არასფერზედ არ აუსუებია, ამიტომაც ზოგჯერ ცოტასაც ვიძეოფინებთ ხოლმე.

ადამიანის უფლების დარღვევაო!.. ვიმ რა მოუგონიათ! რა გაბერილი სიტუვაა!.. რამოდენი კალთები აქვს! რასაც გინდა, ქვემ იმას შეაფარებ. აი, აი, აი! ახლა მაგ ქანდარაზედ რომ შემსხდარხართ, ვითომ ფენს მოიკიდებთ და თავ და ეირა ძირს არ დაქუებთ? ერთი მითხართ, თქვენ ადამიანები ხართ, თუ არა? თუ ადამიანები ხართ, „არა რა

ადამიანური თქვენ არ უნდა გეუცხოებოდეთ.“ ვითომ თქვენ უარ-ჰყოფთ ვნებათა ღელვის ძალ-მომრეობას: ვითომ უმგზავსოდ დაბრეცილი და აწოწვილი თავ-მოყვარეობა ადამიანისა — არაფ-რად მიგახნიათ: ვითომ ადამიანის შური, მტრობა, შურის-ძიება თქვენ დაგიმორჩილებიათ; ვითომ გაწუწუებულის გულის ლაქლაქობის სენი — ადა-მიანის თვისებათ არ გიცვნიათ! დავიჯვრო რომ ესენი ეველა ერთად და თვითუელად ცალკე გული-დამ სამუდამოდ გაგიდევნიათ? მას ადამიანობისა საერთოდ და ქართველობისა საკუთრივ რაღა დაგ-რჩენიათ? აი თქვე ანგარების მოყვარენო! თქვე ადამიანის უარ-მოყოფენო, თქვე ქართველობის მოლაღატენო! მივიხვდით, მივიხვდით. რაც ადამი-ანობის, ქართველობის უბედურებას შეადგენს, იქიდან თავს იხსლეთ და რაც სიკეთეს და ბედ-ნიერებას, იმაში კი წილს იღებთ. ფუ, თქვენს ვაჟკაცობასა, გულშემატკივრობასა, თქვენს სუ-ლგრძელობასა! განა ეგრე უნდა? ღხინში მცნ შენთანაო, ჭირშიკი შენ შენთვისო და მე ჩე-მთვისო. ამას უცილოთ თქვენ ვინ დაგიტომბოთ!..

ჩვენი გაზეთით ჩვენის ცხოვრების სარკე უნდა იყოსო. თუ ეგრეა, მას რომ ჩვენს ცხოვრებაში უნდა ჩაებათ. ის კი აღარ იცით, ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. ვნახოთ თუ ფერიცა და ზნეც არ ვაცვლევინოთ. მე ადამიანის ცხოვრება ცოტად თუ ბევრად მიწვნევი და მწამს რომ შექსნირი მართალია, „სულელთ თამაშა ადამიანის ცხოვრებაო, ამბობს იგი, გინდა თუ არა ჩავდგეთ და ვიტრიალოთო“. ჩვენც გვინდა თუ არა, ჩავდგებით, ვიტრიალებთ და თან ჩავითრევთ ამ ახალს გაზეთსაცა. მაშინ ვნახამთ ეს თქვენი „ივერია“ როგორ გადაინატავს ამ ტრიალსა. ერთი სიტყვით, კარგი რამ გუჭირება გავიკვირდება, ავს კი აღარ გავიკვირვებთ. ვნახოთ, მოვიცდით! ჯერ კი როგორღაც უგემუშურია. უფსოა, უფსო, თუ შენც იტყვი, მკითხველო. იქნება გემო და ფსა იმაშია, რისთვისაც ამ „ივერიას“ თავი დაუნებებია? ვინ იცის! ეჰა, ქვეყნის უკუღმართობავ, არა იეავენ ნება შენი!...

წვერილი ამბები

28 თებერვალს ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ წარუდგინა ამა ბანკის ზედ-მხედველს კამიტეტს წარსულის წლის ანგარიში. ამ ანგარიშიდამ სხანს, რომ ხარჯ ვარეითად ბანკს მარმანდელის წლიდამ სამი ათასს თუმანზედ მეტი მოგება დარჩენია. ზედა-მხედველს კამიტეტს, მი-ღებულის წესისამებრ, დაუნიშნავს კომისია ამ ან-გარიშის განსახიზავათ და შესათანასწორებლად.

ზედა-მხედველის კამიტეტის დამტკიცების შემდეგ ევ ანგარიში გამოცხადდება და დაიბეჭდება ბანკის წესდებულებაში აღნიშნულს გაზეთებში.

1 მარტს ფინანსთ სამინისტროს უცნობებია ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედ-მხედ-ველის კამიტეტისათვის, რომ მას ზატვიის-დე-ბაში მიუღია ბანკის წესდებულების ცვლილებანი, რომელნიც მარმან ბანკის მწვერთა საჭიროდ დაინა-ხეს და ზედმხედველის კამიტეტის შუამდგომლო-ბით წარუდგინეს მინისტრსა. მხოლოდ ზოგიერთს დამატებას და ახსნას თხოულობს კამიტეტისაგან სამინისტრო და აწ საქმე ამაზე არის შემდგარი.

თებერვალში დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და ამ დღე-ებში გამოვა გასასუიდად ინგლისის გამოჩენილის ჰოეტის ვილლიამ შექსნირის ტრაგედია „მეფე ლი-რი“ თარგმნილი ქართულად ივ. მახაბლისა და ილ. ჭავჭავაძისაგან.

ჩვენ შევიტყუეთ რომ მხადდება დასაბეჭდად ქართული წიგნი „ქართველთ ცხოვრება ნიკოლოზ დადიანისა. ეს თხზულება მით არის უფრო შესანიშნავი თურმე, რომ უკანასკნელი ჩვენის ისტორიის დრო, ვრცლად არის აღწერილიო, ნამდტნავათ იმერეთის ამბებიო.

ამბობენ რომ ქალაქში შეერილის მილიციიდან ზოგიერთნი დაუთხოვნელად და თავისი ნებით უკან-ვე ბრუნდებიანო. ამისი მიზეზი თურმე ის არის მარტო, რომ სოფლის საზოგადოებათა, რომელთაც მილიციონერები ამოურჩევიათ და გამოუგზავნიათ, ზირობა მიუციათ და ზოგან ხელ-შეკრულობის ხელ-წერილიცაო, რომ თვეში ამდენ და ამდენს ჯამავრის ჩვენად მოგცემთო და ამას თურმე არ უსრულებენო.

რედაქცია „ივერისა“ ამით აცხადებს, რომ სასოფლო სამხანავო ბანკების ანგარიშს და აგრეთვე ქართულის წიგნების თაობაზედ განცხადებას უფასოდ დაჰბეჭდავს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამ წლის მარტის თვიდან გამოდის ტფილისში

ქ ა რ თ უ ლ ი

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ი ვ ე რ ი ა

დამტკიცებული ზროგ რამმა რედაქციას ნებას აძლევს იქონიოს გაზეთში შემდეგი განყოფილებანი:

- 1) წინამძღოელი წერილები, რომლებშიაც გამოითქმება რედაქციის აზრი შესახებ საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა გვარ საგანთა.
- 2) საქართველო: განხილვა უოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენში მთავრობითსა წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.
- 3) რუსეთი: განხილვა უოველის გვარის შესანიძნავეს საგნისა, რაც კი შეეხება რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.
- 4) უცხოეთი: განხილვა უოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება საზოგადო პოლიტიკას, უცხო ქვეყნების სახელმწიფოს წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.
- 5) კორესპონდენციები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნებისა.
- 6) სამეცნიერო განყოფილება: წერილები შესახებ უოველის გვარის მეცნიერებისა.
- 7) ბელეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.
- 8) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
- 9) ფელეტონი.
- 10) სასამართლოს მატინე: სასამართლოების განახენის ბეჭედა და მისი განხილვა.
- 11) სხვა და სხვა გაზეთის ნაამბობნი.
- 12) კერძოთა ზიროთა განცხადებანი და საჭირო ცნობათა სქემა.

გაზეთი <<ივერია>> გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

მარტიდან იანვრამდე გაზეთის ფასი ექვსი მანეთია როგორც ტფილისელებისათვის, აგრეთვე ტფილისის გარეთ მცხოვრებთათვის.—

ხელის მოწერა მიიღება: <<ივერის>> რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მთაწმინდის ქუჩასზედ, შიოვეის სახლებ ზემოდ №5

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

რედაქტორი—გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

Дозволено цензурою. Тифлис, 1 Марта 1877 г. Тирография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ ხელახალი (განმეორებითი) გამოცემის პროექტისა და ივეის ავტორი,
 რედაქტორ-გამომცემელი **ნუგ ზარ ჭიანჭავაძე**
 სარედაქციო ჯგუფი: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე,**
ნინო გლუნჩაძე, ლალი გორჩილაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი
 პროექტის მხარდაჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა
გაეომთავადი შპს „საგაეომთავადო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174
 მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com



ივერიის – ნახსიანი დახსიანი – მომავლის ბაზისი

ივერიის ახალი სივრცეები



წარსულში დაბრუნება – მომავლის გადასარჩენად! ასე წარმოიდგენია გაზეთი „ივერიის“ ხელახლა გამოცემა და მისი გავრცელება დღევანდელ საქართველოში.

ქართველი ერის დიდი ილია ბრძანებდა: „ერის დაცემა და გათავისირება მამის იქნება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მამისწავლა ბოჯანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვის არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწვრობია და თავისი ისტორია არ ახსოვს“ – ამასვე კარგად არავის უთქვამს დღემდე და ჩვენც კარგად უნდა გავიგოთ, გავანალიზოთ ილიას სიბრძნე, – გვანსოვდეს საიდან მოვლივართ, „რანი ვიყავით და რანი ვართ დღეს“... კარგად უნდა ვიცოდეთ – რა და ვინ ვიქნებით, როგორი ადგილი უნდა გვუჭიროს კაცობრიობის ისტორიაში, რას დაუტოვებთ მომავალ თაობას, ამასვე უნდა იფიქროს დღეს ერმაც და ბერმაც.

ქართველი ერისა და სახელმწიფოსთვის გასული საუკუნეებიდან დაწვებული დღესაც ზრუნავს და სწუხს ილია ჭავჭავაძე... ფიქრობდა, ათასგვარად განსჯიდა უდიდესი ქართველი საკუთარი ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. იღვწოდა და განსაკუთრებულად ღრმად, წარუძღვლი, ერის გამოსაფხიზლებლად მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია საქართველოს ისტორიას, მწერლობას, კურნალისტიკას, საბანკო თუ სხვა მრავალ დარგს, მაგრამ განსაკუთრებული მაინც ისაა, რომ ილია ჭავჭავაძე ქართულმა ავტოკეფალიზმმა ეკლესიამ 1987 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარების, ცნუმი-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის ილია მეორის ხელდასხმით, უდიდესი, ფასდაუდებელი ეროვნული საქმეების გამო წმინდანად შერაცხა იგი – ილია მართალი. დიდი ილია უფალმა სიცოცხლეში სამყოფო გვირგვინით მეტად აღარ დაამძიმა, ისედაც საქართველოს ბედ-ილაღზე მზრუნველ და მისი ტკივილით გულდამძიმებულ ერის მამას, ღმერთმა ცათა შინა, წმინდანის საძარადად გამო მარავანდელი არგუნა, ჩვენი ერისთვის ზეციური მუფე-მუფე – მფარველი და მლოცველი გახდა. აქვე დავძენ, ივერიის ახალი სიცოცხლის დაწვება 2 ავვისტოს, მეტად დიდი და მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს – ამ დღეს ილიაობა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარების, ცნუმი-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის ილია მეორის ანგელოზის დღე...

ღრმად მჯერა, რომ გაზეთი „ივერიის“ ქართველი ხალხის სულისა და გონების სარკე გახდება, ნათლად დაანახებს დღევანდელობას და საუკუნის წინანდელ ზრობდებებს... ჩვენი ერი ილიას ეპოქის „ივერიის“ გამოცემიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაუბნობით, ზარბაზნებს უკეთ გააულებს, ადვილად გააანალიზებს და შესაბამისად, ბრძენი ქართველი ხალხი შესანიშნავად მიხვდება, რა არის საკეთებელი. მჯერა, რომ „ივერიის“ თვალს ავვიხელს საკუთარ მეცდომებზე, და აღარ გავიძეოვრებთ... „ივერიის“ ნათლად დაანახებს დღევანდელ საქართველოს მამინდელ ყოფად-მდგომარეობას, როგორც სამინაო პოლიტიკაში, ისე საგარეო საკითხებში და ისევე შედარების მაგალითით შეძლებს უკეთესი გზის მოძებნას, ნათელი და განრწმუნებული მომავლის მშენებლობისთვის რწმენის აღსადგენად.

ყოველივე სემით ნათქვამისა და რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ უმნიშვნელოვანესი როლის გამო, რომელიც მან საქართველოს იმ პერიოდში შეასრულა, ვაუბრდებ და მისი ხელახლა გამოცემა გადაუწყვიტე, სრული სისუსტის დაცვით, რადგან მისი ყოველი ნაძრომი განუძეორებელია, ხელთშეუხებელი.

და ბოლოს, სწორედ რომ „ივერიის“ ხელახალი გამოცემის წვალობით ჩვენი საზოგადოება კარგად გაიგებს მამინდელი საქართველოს კულტურულ, პოლიტიკურ, ლიტერატურულ სუნთქვას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ზრობდებების მთელ დაუძრებელ, უძირო ოკეანების არსებობას და, თუ როგორ ცხოვრობდა მამის ჩვენი ქვეყანა. იმედია, ქართველი ერი განსხვავებულად, მეტი სიღრმით დაინახავს „ივერიის“ არსს.

პატრიარქის მით, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერიის“ ხელახალი (განმეორებითი) გამოცემის ზრობდებისა და იღვის ავტორი, რედაქტორი და გამოცემელი სუგ ზარ ჭიანჭველი



2011

ԹՃՄ.	3 10 17 24 31	7 14 21 28	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27
ՆՏՄՄ.	4 11 18 25	1 8 15 22	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28
ԹԹՆՄ.	5 12 19 26	2 9 16 23	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29
ՆԽԹՄ.	6 13 20 27	3 10 17 24	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30
ՅՆՃ.	7 14 21 28	4 11 18 25	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24
ՄՆԸ.	1 8 15 22 29	5 12 19 26	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25
ՃՅՈՐՆ.	2 9 16 23 30	6 13 20 27	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26

ԹՃՄ.	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26
ՆՏՄՄ.	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27
ԹԹՆՄ.	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
ՆԽԹՄ.	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
ՅՆՃ.	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30
ՄՆԸ.	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31
ՃՅՈՐՆ.	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25